„საქართველოს ანგიოლოგებისა და სისხლძარღვთა ქირურგების ასოციაციის“ გამგეობის რიგგარეშე სხდომის ოქმი

07. 12 .2021

სხდომას ესწრებოდნენ:

თამარ აბზიანიძე
კონსტანტინე ყიფიანი
დავით ფარღალავა
ზაზა ლაზარაშვილი
გურამ უბილავა
ვახტანგ ყიფიანი
ირაკლი ფოფხაძე
გიგი ბრეგაძე
თემურ მოსიავა
მერაბ მიქელაძე
გოჩა ჩანქსელიანი
გურამ მინდიაშვილი
მაია მოსიძე

დღის წესრიგი

1. „ენდოვასკულური ქირურგიის სპეციალიზაციის“ ავტომატურად მინიჭების საკითხი;
2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ენდოვასკულური ქირურგი;
3. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს „ენდოვასკულური ქირურგიის სპეციალიზაციის“ გამცემი კლინიკები

„ენდოვასკულური სპეციალიზაციის“ საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა დამატებით მოახსენა თავიანთი შეხედულებები, იყო დისკუსიები, აზრთა სხვადასხვაობები. გამგეობამ განიხილა ეს საკითხი და საბოლოოდ დადგინდა

1. „ანგიოლოგებისა და სისხლძარღვთა ქირურგების ასოციაცია“ რეკომენდაციას გაუწევს ენდოვასკულურ ქირურგიაში სპეციალიზაციის მინიჭების შესახებ იმ სისხლძარღვთა ქირურგებს, რომელთაც 2017-2021 წლებში დამოუკიდებლად აქვთ ჩატარებული არანაკლებ 80 ენდოვასკულური ჩარევა, (1 პაციენტი- 1 ჩარევა!), რეკომენდაცია გაიცემა ოფიციალურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ;

დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 01.03.2022;

(წარმოსადგენი დოკუმენტაცია - „სისხლძარღვთა ქირურგიაში“ ლიცენზიის ასლი, პირადობის ასლი, CV ქართულ ენაზე, 2017-2021 წლებში დამოუკიდებლად ჩატარებული ენდოვასკულური ჩარევების ამსახველი დოკუმენტი ოფიციალურად დამოწმებული კლინიკის ხელმძღვანელობის მიერ; განცხადება ასოციაციის სახელზე)

2. ასოციაცია იძლევა რეკომენდაციას, რომ სამომავლოდ სისხლძარღვთა ქირურგი, რომელიც ფლობს სპეციალიზაციას ენდოვასკულურ ქირურგიაში, ყოველწლიურად ასრულებდეს არანაკლებ 80 ენდოვასკულურ ჩარევას, ამასთანავე ყველა მის მიერ შესრულებული ინტერვენცია უნდა აისახოს ქირურგიულ რეგისტრში, წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით;

3. ენდოვასკულური ქირურგიის სპეციალიზაციის სწავლების უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ კლინიკებს, სადაც წელიწადში ტარდება არანაკლებ 300-350 ენდოვასკულური ჩარევა, აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად, გარდა 1 პუნქტისა, რასაც ბატ. კოტე ყიფიანმა არ დაუჭირა მხარი (ბატ. კოტე ითხოვდა ყოფილიყო ბოლო სამ წელს შესრულებული სამუშაო)

საქართველოს ანგიოლოგებისა და სისხლძარღვთა ქირურგების ასოციაცია